# ცნობის

სურათები

დამატების № 117. 57 კვირა,

4 მანეთი და 50 კაპ. ღირს ყოველ დღიუ

დამატებით. 1 მაის



ლამაზი ობობა,—სურათი სპირიდონისა.

## სამამაცხულო ხმები

ფიქრს შევეჩვიე... არ ვეძებ
ქვეყნიურს სახელს, ქებასა,
ოცნების კოშკი-პალატი
მივეცი დავიწყებასა.

**

რაც ადრე ეგრე მალხანდა,
რაიც გულს ჰკვრიდა შვებასა,
დღეს სასაცილოდ არა ჰყოფნის
დემონურს ურწმუნობასა.

**

ოდ შექმნილი
მთარსა,

ქარი გლოვის ზარს უგალობს
გრძნობას უდროოდ ჩამკვდარსა.

**

არც არა ტრფობა მახარებს,
არც სიყვარული მოძმისა,
ეჭვით შევყურებ, მაშინებს
მშველელი ხელი თვით ძმისა.

**

მაგრამ, როს ბრძენი ბუნება
ჯადოს მოაბნევს უხვადა,
როს სურნელოვან ყვავილით
შემოსავს მდელოს ტურფადა,

**

როდესაც გიჟი ჩანჩქერი
ბროლის მტვრად მზეზე იბრწყინებს,
როს შაშვი გულის-წარმტაცად
დილის ხმას ველსა გაჰკივლებს,

**

როს ყვავილთ მეფა მაისში
ლამაზად გაიფურჩქნება
და მის მხურვალე არშიყი
მას გულით ჩაეკონება,—

**

მაშინ ჩემს გულშიც აღვენთებს
მზე თვისს სხივს გამცოცხლებელსა,
მაშინ მეც ვეძებ სიყვარულს
სიცოცხლის გამნათლებელსა...

ილ. ჭონტელი.

# მ ა ს კ ა

დილის ცხრა საათი იყო, როცა თავადმა კონსტანტინემ თვალები გაახილა, მიისრის-მოისრისა და იქვე კედელზე ზარს თითი მიაჭირა ბიჭის დასაძახებლად. მესამედ რეკავდა, მაგრამ სასტუმროს ბიჭი მაინც არა სჩანდა. ის იყო უნდა დაეყვირნა, რომ კარი გაიღო და ბიჭი შევიდა. თავადმა პირი გააღო ბიჭის გასალანძღავად, მაგრამ იმან აღარ დააცალა და საჩქაროდ წერილი მიაჩეჩა ხელში. გულზე მოსულმა თავადმა ეს ლა ჰკითხა:

— ვინ მოგცა, ვინა? როდის მოიტანეს?

— ერთმა ქალმა მომცა გადმოსაცემად, ეს არის ეხლა!

— ვინ იყო? ახალგაზდა თუ ხნიერი?—ეკითხებოდა სხაპასხუპით თავადი.

— მაისის ვარდს ჰგვანდა, ბატონო! მომცა ეს, თავად კონსტანტინეს გადაეციო და საჩქაროდ გასწია უკანვე.

თავადმა ბიჭი დაითხოვა, წერილს თავი გადაუხია და შემდეგ ამოიკითხა:

„ძვირფასო მეგობარო, კოსტა!

გამოუთქმელ სიყვარულსა ვგრძნობ შენდამი მას შემდეგ, რაც თეატრში გაგიცანი. მომწონს შენი ვაჟკაცური შეხედულობა, ლამაზი სახის მოყვანილობა და მაყვალივით შავი თვალები. იმედია, ჩემს მხურვალე სიყვარულს უგულოდ არ შეჰხვდები და დღეს, საღამოს 8 საათზე მასკარადში მოხვალ. შენი მეგობარი №“.

თავადმა წერილი გადაიკითხა ორჯერ, სამჯერ, მაგრამ არ ...ჯერებდა თვალებს. თვალები მიიფშვნიტ-მოიფშვნიტა და ...რთხელ კიდევ გადაიკითხა წერილი. გაიცინა, წერილი ბალი...ს ქვეშ ამოსდო, მარდად საწოლიდან გადმოხტა და სწრა...დ დიდის სარკის წინ გაჩნდა. დიდხანს ესიყვარულა თავისს ...ვს სარკეში: ხან მარჯვენა გვერდს ჩაითვალიერებდა, ხან ...რცხენას; კისერსაც საკმაოდ იძაგრამდა გვერდზედ, რომ ...რგად გაესინჯა უკანა ბეჭები. მეტი დრო მოანდომა პირი...ის გასინჯვას: ისინჯავდა ქოჩორს, შუბლს, წარბებს და ...რადღებით აცქერდებოდა თვალებს. რამდენჯერმე კიდეც ...იცინა, რომ გაეგო, უხდებოდა სიცილი თუ არა. ძალიან ...ეწონა თავი: „ლამაზი ვარ, მაშ!—გაიფიქრა.—მაშ, რა ვარ? ...ას არ მოვეწონებოდი! ოჰ, ნეტა ერთი კი ვიცოდე, ვინ ...რის ის ქალი... იწერება, „მასკარადში მოდიო“. ოჰ, ჩქარა მაინც ...ახდეს რვა საათი!..“

თავადმა კონსტანტინემ ის იყო გიმნაზიის მეხუთე კლასს ...იაღწია, რომ გამოვარდა კიდეც. მამამ კარგა ბლომა მამული ...აუტოვა. ჩვენმა თავადმა გულუხვად დაუწყო დაგირავება მამა...პეულ მამულს. ხან კიდეც ჰყიდდა და „მონაგების“ ფუ...ით ხშირად ახმაურებდა ტფილისის სასტუმროებს. თავადი ...როპიულ ტანისამოსში გამოწყობილი დაბძანდებოდა. მხია...ული იყო, გულუხვი და ძმა ბიჭთან დამხარჯავი. ქალებთან ...ფნის დროსაც მეტ მარილიანობას იჩენდა: სცდილობდა სა...უმარო სიტყვების მოგონებას და ოხუნჯობას. ქალებსაც მოსწონდათ. არა ჰზოგავდა ფულს, ოღონდ ქალებისთვის ესიამოვნებინა.

შვიდ საათზედ თავადი კონსტანტინე შეუდგა სამზადისს: ...ირფასის საპნით დაიბანა პირი, ოდეკალონი გადაისხა და ...ილოს რბილი პირსახოცით შეიმშრალა სუფთად გაპარსული ...რი-სახე. ტანისამოსიც სურნელოვანის წყლით ასხურა, ახლად გახამებული პერანგი ჩაიცვა და ფრაკში გამოწყობილმა ხელ ახლა დაიწყო მტვრევა და სარკეში თავის სინჯვა. შემდეგ საათს დაჰხედა, რვა სრულდებოდა. ბიჭს უბძანა ეტლი მოეყვანა და გასწია მასკარადში.

სამასკარადო დარბაზი ხალხით იყო სავსე. ქალები მასკებში იყვნენ. კონსტანტინე რომ შევიდა დარბაზში, იმისთვის ბევრს არავის მიუქცევია ყურადღება. გულმოდგინედ აათვალიერ-ჩაათვალიერა დარბაზი. გაფაციცებით დაუწყო სინჯვა ქალებს, მაგრამ ამაოდ, ყურადღების ღირსად არავინ გაჰხადა. ათას ნაირმა აზრმა დაუწყო ქენჯნა: „იქნება მომატყუა ვინმემ... იქნება ვინმე ჩემმა ამხანაგმა დასწერა წერილი ჩემ შესაცდენად... იქნება ჯერ არც კი იყვეს მოსული ის ქალი. იქნებ, იქნება“... სასოწარკვეთილი იქვე სკამზე ჩამოჯდა და იმედს მაინც არა ჰკარგავდა.

კიდევ დაუწყო თვალიერება და გასწია დაბნეულად დარბაზის ერთ კუნჭულისაკენ, ისე რომ ვერცკი შეამჩნია თავის წინ მასკიანი ქალი და ფეხი მაგრა ფეხზედ დაადგა. ქალმა ტკივილისაგან შეჰკივლა და უთხრა:

— ფთხილად, თავადო!..

კონსტანტინეს გული გადაუქანდა.

ბოდიშის მოხდაც დაავიწყდა. მალე გ...

ამან, თავადი ვარ თუ არა, გაიფიქრა გულში. უსათუოდ ეს უნდა იყოს წერილის ავტორი“. ხელი ჩამოართვა ქალს და თითებს სინჯვა დაუწყო, იქნება ხელებზე გამოვიცნოვო.

— თქვენ ვერა ბრძანდებით?

— არა!

— ოლა?

— არა!

— სონა?

— არა!

— ნინა?

— არა, არა და არა...

ქალმა გადიკასკასა და დარბაზის მეორე კუთხეში გაიქცა კონსტანტინეც უკან დაედევნა. ქალი დაჯდა, ისიც გვერდში მოუჯდა.

— უკაცრავად კი და თქვენ განა მიცნობთ?

— მოხარშულსაც...

— მაშ, წერილი თქვენ გეკუთვნით?

— მე არ მესმის, რა წერილზედ მეკითხებით?

„კუდიანია, კუდიანი!“ გაიფიქრა კონსტანტინემ და ბუფეტისკენ გაიწვია ქალი იმ იმედით, რომ იქ ვათქმევინებო.

— რას მიირთმევთ?

— არაფერს!

— მაინც, შამპანიური ხომ არა გნებავთ?—და მებუფეტეს გადმოაღებინა შამპანიური.

ქალი დასთანხმდა შამპანიურზედ და სხვა პირის გასაცმაცუნებელზედაც.

— თქვენ თეატრში გაგიცანით, არა?

— დიახ...

თავადს გაუხარდა, გულზედ სიამის ტალღებმა გადურბინა და უხვად დაუწყო ბუფეტის სანოვაგეს გასაღება; თან მალ-მალე ქალს ხელს ართმევდა და ჰკოცნიდა. „ის არის, ისა... წერილი ამისია.“ თავადი ქალს აღარ ეშვებოდა და ძალზე ეტრფოდა. ბევრი იცინეს, იმხიარულეს...

— სახლში მე გაგაცილებთ...—სთხოვა თავადმა.

—დიდათა გმადლობთ!

გაუყარა მკლავში ხელი და სიფრთხილით დარბაზის კიბეებზედ ჩამოიყვანა. თავადმა ფრთხილად ჩასვა ეტლში მასკიანი ქალი და თვითონაც გვერდში მოუჯდა.

— ნება მიბოძეთ, ხელზედ გაკოცოთ!

— ნება გაქვთ...

— მაშ, მე ბედნიერი ვარ... თქვენ გიყვარვართ და მეც მეყვარებით! მალე დარწმუნდებით, რა ერთგული კაცი იშოვეთ...

ამასობაში დიდ ქუჩას გასცდნენ და ვიწრო ქუჩისკენ გაახვევინა ქალმა მეეტლეს.

— შესდეგ!—უბძანა ქალმა მეეტლეს.

ეტლი დიდის სახლის მოშორებით გაჩერდა.

— აბა, გეთაყვა, გადადით და ამ სახლში მარჯვნივ ზარი დარეკეთ!—სთხოვა ქალმა კონსტანტინეს.

თავადი სწრაფად გადახტა, თითი მიაჭირა ზარს და გარინდებულმა ლოდინი დაუწყო კარის გაღებას...

— გადმობძანდ...—აღარ დაათავა გაოცებულმა თავადმა, როდესაც მოტრიალდა და დაინახა გაქანებული ეტლი.

თავადი გაშტერდა. ბოლოს გადმოირბინა ტროტუარზედ და ქუჩის ბოლოში-ღა მოჰკრა თვალი ეტლს. გამოუდგა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, სად მირბოდა.

გ. გულაშვილი.

# თანამედროვე ტეხნიკა

## უწმინდურებათა არხები.

პეტერბურგში აპირებენ გააკეთონ უწმინდურებათა არხები თანამედროვე მოთხოვნილებათა თანხმად. ამ არხების გასაკეთებელი გეგმა-ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად გამოცხადებული იყო კონკურსი და საუკეთესოდ შემსრულებლისათვის დანიშნული ჰქონდათ 8000 მანეთი. კონკურსი შესდგა, გაიმარჯვა ინჟინერმა გუსტავ რიხარდმა, ბ-ნ რიხარდის ხარჯთ-აღრიცხვის თანხმად, ეს აუარებელი არხები 30 მილიონ მანეთად დაჯდება თურმე.

## ხილის სახმობი მანქანა.

როსტოვში იაროსლავის გუბერნიის ტეხნიკოსს ოშანინს გამოუგონია ერთ-გვარი მანქანა ხილის გასახმობად, რომლის შემწეობითაც შესაძლოა ერთ დღეში გაახმოთ 4 ფუთი ჩირი ახალის ხილისა.



მეგობრები.—სურათი ფრაუნდისა.

ხსენებულ მანქანით გამხმარი ჩირი თურმე საუკეთესო რამ გამოდის და არცა შავდება, არცა ყვითლდება გახმობის დროს. ამ მანქანის გაკეთება უბრალო დურგალს და ზეინკალს შეუძლიან. გეგმა და აღწერა მოხერხებულად არის შედგენილი და იაფადაც ჯდება, სულ რაღაც 20 მანეთამდის. მხოლოდ გასაოცარი კი ეს არის, რომ გეგმა-აღწერას და სახელმძღვანელოს 25 მანეთად აფასებს გ. ოშანინი.

ოჰანინი 1901 წელს დაუჯილდოებიათ ოქროს მედლით ამ გამოგონებისათვის.

### წყლის ქვეშ მოსიარულე გემი.

პირველი ასეთი გემი ხომ ინჟინერმა გუბემ გამოიგონა საფრანგეთში 1886 წელს, მაგრამ იმაზედ უკეთესიც აი ეხლა გამოიგონა და გააკეთა გერმანიაში ტეხნიკოსმა გურტმა. ეს გემი კონსტანციის ტბაში გამოუცდიათ და მშვენივრად მომართულ-მოწყობილი გამომდგარა: გემი თავისუფლად დაცურავს წყალ ქვეშ. ამ გემისთვის დიდი ყურადღება მიუქცევია გერმანიის საზღვაო სამინისტროს.

გ. თოიძე.




მამონას და პოეზიას—ორივეს ვუკმევ გუნდრუკს!...




დიდი ბანკის დირექტორობაზე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 10 мая 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამ—ის